Range Rover-ის ახალი მოდელის ერთ-ერთი ფერი Batumi Gold-ია



Dealer Info

Name:	Avto News
M. Phone:	(694) 854-947
First Name:	Avto
Contact Person:	Contact Person
Do you consent to receiving advertising messages?:	Yes

Listing details

Common

Title:	Range Rover-ის ახალი მოდელის ერთ-ერთი ფერი Batumi Gold-ია
Posted:	Nov 05, 2026

Additional Information:

ბათუმი მსოფლიო რუკაზე კიდევ ერთხელ მოინიშნა. ამჯერად, საქართველოს ზღვისპირა ქალაქი მსოფლიოს ავტომოყვარულთა ყურადღების ცენტრში მოექცა. 2021 წლის 26 ოქტომბერს Land Rover-მა Range Rover-ის ახალი მოდელი წარადგინა. ბრიტანული ავტოგიგანტის ყველაზე სასურველი მოდელი ახლა უფრო მოდერნიზებული, დახვეწილი და მინიმალისტურია. რამდენიმე სხვადასხვა ფერს შორის ერთ-ერთ ძვირადღირებულ ფერს დიზაინერებმა Batumi Gold უწოდეს.

როგორც ჩანს, Range Rover-ის შემოქმედებითი გუნდი ბათუმის შთამბეჭდავი ხედებითა და მზის ჩასვლით მოიხიბლა. ავტომობილის ახალი ფერი სწორედ ზღვაში ჩამავალ მზესთან ასოცირდება.

Range Rover-ის ახალი მოდელის პრეზენტაცია ავტომოყვარულთა სამყაროში საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან მსოფლიო ყველაზე მოთხოვნადი ავტომობილის ახალ ვერსიას რამდენიმე წელი ელოდა. პრეზენტაციას ონლაინ რეჟიმში თვალს უამრავი ადამიანი ადევნებდა.

ბათუმის მზის ჩასვლა არაერთხელ გამხდარა

ხელოვანების ინსპირაციის წყარო. თუმცა, ბრიტანული ავტოგიგანტის მიერ ზღვისპირა ქალაქის სახელის გაჟღერების შემდეგ, ქართველ ხელოვანებს სიამაყის შეგრძნება ეუფლებათ, რადგან ბათუმი კიდევ ერთხელ მოინიშნა მსოფლიო რუკაზე.

ბრიტანული ავტოგიგანტი მხოლოდ ბათუმის სილამაზით არ მოხიბლულა. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა Jaguar Land Rover-ის საქართველოს ოფისის წარმატებულმა მუშაობამაც. ოფისი ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგიონში წამყვან პოზიციას იკავებს და ტოპ ხუთ ქვეყანაში შედის. აღსანიშნავია წარმატება მომხმარებელთა მომსახურების კუთხითაც. ამ მიმართულებით Jaguar Land Rover-ის საქართველოს ოფისი რეგიონის პირველ სამეულში მოხვდა.

დიზაინერებმა Range Rover-ის განახლებული მოდელის ძირითადი კლასიკური მახასიათებლები შეინარჩუნეს. ამიტომ, ერთი შეხედვით არის შესაძლებელი იმის მიხვედრა, რომ ნამდვილად Range Rover-ს ვუყურებთ. დიზაინი მოდერნიზებულია, სტილი კი მეტად დახვეწილი და მინიმალისტური. შეიძლება ითქვას, რომ Range Rover-ის არსებობის ისტორიის მანძილზე, განახლებული მოდელი ყველაზე კომფორტული და მდიდრული SUV-ია.

ავტომობილი აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიებით და ოპერაციული სისტემა ფაქტობრივად იმავე ფუნქციებს ასრულებს, რასაც ნებისმიერი კარგი სმარტფონი. აღსანიშნავია, რომ სპეციალურად ამ მოდელის ტექნიკური აღჭურვისთვის 125 ახალი პატენტი შეიქმნა. მაგალითად, Range Rover-ში დაგხვდებათ სმარტფონის Wireless დამტენი, რომელშიც სიგნალის გამაძლიერებელია დამონტაჟებული. ჰაერის წმენდისა და ხმის იდეალური იზოლაციის უნიკალური სისტემები კი ახალ Range Rover-ს კიდევ უფრო სასურველს ხდის.

ნოვაციაა ისიც, რომ საჭის დატრიალებისას, ავტომობილის ოთხივე თვალი მოძრაობს. შესაბამისად, ახალი Range Rover მარტივად

მანევრირებს ქალაქში, პარკინგსა და ვიწრო გზებზეც.

წინა მოდელებთან შედარებით, ახალი Range Rover 12%-ით უფრო აეროდინამიკული, 24%-ით ნაკლებად ხმაურიანი და 50%-ით გამძლეა.

წყარო: https://netgazeti.ge/news/576168/